საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვაკანტურ თანამდებობათა

დასაკავებელი კონკურსი (იურიდიული განყოფილების უფროსი)

სამართლის ტესტი

<u>ინსტრუქცია</u>

ტესტი შედგება 50 არჩევითპასუხიანი დავალებისაგან. დავალებებს ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. დავალებები ფასდება 1 ქულით. არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს. ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები <u>არ შემოწმდება.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. სამუშაოდ გეძლევათ **<u>2 საათი.</u>** დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე. თუ გათვალისწინებულზე მეტ დროს დაუთმობთ ტესტზე მუშაობას, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება. თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე. ჩანაწერებისთვის გამოიყენეთ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

<u>პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია</u>

ტესტურ დავალებათა პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელზე.

<u>პასუხის მონიშვნისას:</u>

- მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი;
- ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება;
- დასვით X ნიშანი ამ უჯრაში.

<u>**გაითვალისწინეთ:**</u>

- პასუხის მონიშვნისას დავალების ნომერი უნდა ემთხვეოდეს იმ სვეტის ნომერს, რომელშიც სვამთ X ნიშანს;
- თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა - ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება;
- დასაშვებია, რომ X ნიშანი გადასცდეს უჯრას, მაგრამ იგი არ უნდა იყოს ძალზე მცირე ზომის;
- თითოეული დავალების შესაბამის სვეტში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრაში დასვათ X ნიშანი. თუ სვეტში ერთზე მეტ X ნიშანს დასვამთ, ამ დავალების არც ერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად;
- თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). ელექტრონული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X ნიშნიან უჯრას აღიქვამს. ამიტომ შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ (ანუ ის პასუხი, რომლის შესაბამისი უჯრა უკვე მთლიანად გააფერადეთ);
- პასუხების აღნიშვნისთვის არაა გამოყოფილი დამატებითი დრო. ასე რომ, დროულად მონიშნეთ არჩეული პასუხი შესაბამის უჯრაში.

დავალება N1

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ბიბლიოთეკის შევსების მიზნით გადაწყვიტა ისეთი წიგნების შეძენა, რომლებიც ეხებოდა საქართველოს და შეიცავდა მის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას. ამ მიზნით მან ხელშეკრულება გააფორმა შ.პ.ს.-სთან.

მოცემულ შემთხვევაში ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება არის:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ყველა სახის ხელშეკრულება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სახის.
ბ) სამოქალაქო სამართლებრივი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წიგნების შეძენასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება არის სამოქალაქო სამართლებრივი სახის.
გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სახის.
დ) სამოქალაქო სამართლებრივი, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება არის სამოქალაქო სამართლებრივი.

დავალება N2

თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი ცნოს ბათილად:

ა) თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.
ბ) ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება ბათილად ცნოს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
გ) თუ მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო.
დ) თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ.

დავალება N3

ადმინისტრაციულმა ორგანომ იმ საკითხზე მიიღო გადაწყვეტილება (გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), რომელიც არ შედიოდა მისი კომპეტენციის ფარგლებში. ვინაიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხებოდა 58 პირს, იგი გამოქვეყნდა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. აღნიშნული გადაწყვეტილება 2 თვის შემდეგ. დაინტერესებულმა მხარემ გაასაჩივრა იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში. ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი უთხრა დაინტერესებულ მხარეს საჩივრის მიღებაზე.

ადმინისტრაციული ორგანოს უარი:

ა) არ არის კანონიერი, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნა - მან არ გააცნო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაინტერესებულ მხარეს და მხოლოდ გამოაქვეყნა. შესაბამისად, ვალდებული იყო ნებისმიერ დროს მიეღო საჩივარი.
ბ) კანონიერია, ვინაიდან დაინტერესებულ მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეეძლო გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
გ) არ არის კანონიერი, ვინაიდან არარა აქტის მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადები.
დ) კანონიერია, ვინაიდან დაინტერესებულ მხარეს საჩივარი უნდა წარედგინა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

დავალება N4

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სასამართლოს მთავარ სხდომაზე განიხილებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საკითხი, არ გამოცხადდა მოპასუხე მხარე და არც გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებია. სასამართლომ იმსჯელა და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

<u>რამდენად კანონიერია სასამართლოს გადაწყვეტილება:</u>

ა) კანონიერია, ვინადიან მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.
ბ) არ არის კანონიერი, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.
გ) კანონიერია, ვინაიდან სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს მხარის შუამდგომლობის მიუხედავად გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.
დ) არ არის კანონიერი, რადგან სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მეორე მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის შემთხვევაში.

დავალება N5

ეროვნული ბიბლიოთეკის <u>*მოვალეობა/მოვალეობებია*</u>:

I - ძველნაბეჭდ და იშვიათ გამოცემათა სახელმწიფო ფონდის ორგანიზება, დაცვა, დამუშავება და სარგებლობის უზრუნველყოფა;
II - საგამომცემლო საქმიანობა, აგრეთვე საკუთარი გამომცემლობისა და სტამბის ქონა;
III - საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში გაწევრიანება;
IV - საქართველოში ნაბეჭდი პროდუქციის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და სტატისტიკის შედგენა და პუბლიკაცია.

ა) I და II.
ბ) I და IV.
გ) II და III.
დ) II და IV.

დავალება N6

ეროვნული ბიბლიოთეკის საშტატო განრიგს ამტკიცებს:

ა) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი.
ბ) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის წარდგინებით საქართველოს ფინანსთა მინისტრი.
გ) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის წარდგინებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი.
დ) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის წარდგინებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

დავალება N7

ეროვნული ბიბლიოთეკა არის:

ა) მხოლოდ ხალხის საკუთრება.
ბ) მხოლოდ საქართველოს პარლამენტის საკუთრება.
გ) მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრება.
დ) მხოლოდ ეროვნული ბიბლიოთეკის საკუთრება.

დავალება N8

ერთ-ერთმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ ეროვნულ ბიბლიოთეკას საბანკო ანგარიშზე შემოწირულობის სახით გადაურიცხა 10 000 ლარი.

<u>ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ შემოწირულობის მიღება:</u>

ა) არ არის დასაშვები, ვინაიდან ეროვნული ბიბლიოთეკა ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
ბ) დასაშვებია, ვინაიდან ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქველმოქმედო შემოწირულობანი.
გ) არ არის დასაშვები, ვინაიდან საქველმოქმედო ორგანიზაციიდან შემოწირულობის მიღებისთვის საჭიროა საქართველოს პარლამენტის ნებართვა.
დ) დასაშვებია, ვინაიდან შემოწირულობის სახით შესაძლებელია არა უმეტეს 10 000 ლარის გადარიცხა ეროვნული ბიბლიოთეკის საბანკო ანგარიშზე.

დავალება N9

ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორებს თანამდებობაზე ნიშნავს:

ა) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი თავისი მოადგილის წარდგინებით.
ბ) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე.
გ) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან შეთანხმებით.
დ) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით.

დავალება N10

„საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს:

I - საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკას;
II - ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის ხელშეწყობას მისი ფინანსური მხარდაჭერით;
III - ეროვნული ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვას;
IV - საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულებას.

ა) I და III.
ბ) I და IV.
გ) II და III.
დ) II და IV.

დავალება N11

,,საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურასა და საქმინაობის წესს განსაზღვრავს:

ა) საქართველოს კანონი ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ''.
ბ) ეროვნული ბიბლიოთეკის დებულება.
გ) ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ბრძანებით დადგენილი ინსტრუქციები.
დ) საქართველოს კანონი ,,საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ''.

დავალება N12

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გადაწყვიტა ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდულ გამოცემათა ფონდის პრივატიზაცია, რადგან ეროვნული ბიბლიოთეკა ვერ უზრუნველყოფდა თავისი რესურსებით ფონდის დაცვისათვის სათანადო პიროებების შექმნას.

<u>ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ქმედება:</u>

ა) მართებულია, ვინაიდან დასაშვებია ფონდების პრივატიაზაცია ნებისმიერ შემთხვევაში.
ბ) არ არის მართებული, ვინაიდან დასაშვები არ არის მხოლოდ პერიოდულ გამოცემათა ფონდის პრივატიზაცია.
გ) მართლებულია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ეროვნული ბიბლიოთეკა ვერ უზრუნველყოფდა პერიოდულ გამოცემათა ფონდის დაცვისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას.
დ) არ არის მართებული, ვინაიდან დაუშვებელია ფონდების პრივატიზაცია.

დავალება N13

ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობაა სწორი:

საქართველოს პარლამენტი:

ა) ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.
ბ) ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
გ) ორ წელიწადში ერთხელ იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.
დ) ორ წელიწადში ერთხელ იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

დავალება N14

პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს წარადგენს:

ა) მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი.
ბ) მხოლოდ საქართველოს მთავრობა.
გ) მხოლოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
დ) მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

დავალება N15

საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს:

ა) სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
ბ) შემოსავლების სამსახური.
გ) ფინანსთა სამინისტრო.
დ) ფინანსური პოლიცია.

დავალება N16

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში მთავრობის ახალ წევრს ნიშნავს:

ა) პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის წარდგინებით.
ბ) საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.
გ) პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით.
დ) პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

დავალება N17

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა *<u>არ არის</u>* *<u>მართებული</u>*:

ა) საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.
ბ) სახელმწიფო მინისტრი ინიშნება განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.
გ) საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებას.
დ) საქართველოს მთავრობის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა.

დავალება N18

საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია:

ა) საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის აღდგენილი კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობით.
ბ) 1991 წლის 31 მარტის ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.
გ) 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციით.
დ) 1989 წლის 21 დეკემბრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დოკუმენტით.

დავალება N19

ჩამოთვლილთაგან რომელი სამართლებრივი ნორმაა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე?

ა) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, ყველა შიდასახელმწიფოებრივი ნორმა მას უნდა შეესაბამებოდეს.
ბ) კონსტიტუციური შეთანხმება.
გ) საქართველოს კონსტიტუცია.
დ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

დავალება N20

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია მართებული?

საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს:

ა) განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
ბ) განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
გ) იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც აქვს თავისი წარმომადგენლობა, მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
დ) იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება მისი იურისდიქცია გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დავალება N21

საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა:

ა) დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში.
ბ) დასაშვებია მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით.
გ) დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.
დ) დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევისა, თუ მან ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ.

დავალება N22

დასაშვებია თუ არა შემოხიზნული პირის, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისთვის ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ ითვლება დანაშაულად, სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა?

ა) დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.
ბ) დასაშვებია მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვლისწინებულ შემთხვევებში.
გ) დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება შემოხიზნული პირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.
დ) დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დავალება N23

საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი ბრძანებულება ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. ბრძანებულების გაუქმების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო ისევ ხელმძღვანელობდა ამ ბრძანებულების საფუძველზე მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტით, ვინაიდან თავად ეს ნორმატიული აქტი არ ყოფილა ძალადაკარგულად გამოცხადებული.

<u>**კანონიერია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება?**</u>

ა) კანონიერია, ვინაიდან ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ძალადაკარგულად არ არის გამოცხადებული.
ბ) არ არის კანონიერი, ვინაიდან იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.
გ) კანონიერია, ვინაიდან ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ძალადაკარგულად არ არის გამოცხადებული იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული (გამოცემული).
დ) არ არის კანონიერი, ვინაიდან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად არ შეიძლება მიღებული იქნეს ნორმატიული აქტი.

დავალება N24

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით დადგინდა, რომ საჯარო სამსახურში მისაღებად, აუცილებელია საჯარო მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით აღნიშნული ცვლილება გავრცელებულიყო იმ საჯარო მოხელეებზეც, რომლებიც დანიშნულები იყვნენ ამ კანონის ძალაში შესვლამდე.

<u>გავრცელდება თუ არა აღნიშნული ცვლილებები იმ პირებზე, რომლებიც კანონის ძალაში შესვლამდე დაინიშნენ საჯარო სამსახურში?</u>

ა) არ გავრცელდება, ვინაიდან აღნიშნულს პირდაპირ არ ადგენს ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ბ) გავრცელდება ნებისმიერ შემთხვევაში.

გ) გავრცელდება მოხლოდ იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

დ) არ გავრცელდება, ვინაიდან საქართველოს მთავრობას არა აქვს უფლება მიიღოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

დავალება N25

სამინისტროში გადაწყდა, რომ დაქვემდებარებულ ორგანიზაციას ყოველწლიურად ჩაეტარებინა გარკვეული აქტივობა, რომელშიც ჩართვის შესაძლებლობა ექნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეს 18-დან 60 წლამდე. მინისტრმა გამოსცა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომლითაც დაადგინა ამ აქტივობის ჩატარების წესი და პირობები.

<u>მინისტრის მიერ ზემოაღნიშნული აქტივობის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა:</u>

ა) არ არის კანონიერი, ვინაიდან დაუშვებელია მინისტრმა გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, თუ აღნიშნულის უფლება არ განესაზღვრა მას კანონით.

ბ) კანონიერია, ვინაიდან მინისტრს უფლება აქვს გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

გ) არ არის კანონიერი, ვინაიდან დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება.

დ) კანონიერია, ვინაიდან მინისტრი თავად განსაზღვრავს აქტივობის ჩატარების წესსა და პირობებს.

დავალება N26

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რა ვადით შიძლება მიეცეს მოსამსახურეს შვებულება ანაზღაურების გარეშე?

ა) არაუმეტეს 1 წლისა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ბ) არაუმეტეს ერთი თვისა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
გ) შვებულების ხანგრძლივობა დაკავშირებულია შრომითი სტაჟის სიდიდესთან.
დ) წელიწადში არანაკლებ 15 კალენდარული დღისა.

დავალება N27

მოხელე, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს 2 წლის განმავლობაში დაწესებულებამ წარადგინა დასაწინაურებლად ისე, რომ მოხელემ ამის შესახებ არ იცოდა.

<u>**დაწესებულების გადაწყვეტილება:**</u>

ა) კანონიერია, ვინაიდან მოხელე დაკავებულ თანამდებობაზე მსახურებდა 2 წელი და დაწესებულებამ წარადგინა დასაწინაურებლად.
ბ) არ არის კანონიერი, ვინაიდან მოხელის სამსახურებრივი დაწინაურებისათვის საჭიროა ზეპირი თანხმობა მაინც.
გ) კანონიერია, ვინაიდან დაწესებულებამ მისცა დადებითი დასკვნა მოხელეს დასაწინაურებლად, ამისათვის არ იყო საჭირო მოხელის თანხმობა.
დ) არ არის კანონიერი, ვინაიდან მოხელის სამსახურებრივი დაწინაურებისათვის საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა.

დავალება N28

მოხელე მ. გ.-ს, შინაგანაწესის დარღვევისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა გაფრთხილება. მ. გ.-მ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზემოქმედების პერიოდში თავი გამოიჩინა სანიმუშო ქცევით, რის გამოც შესაბამისმა თანამდებობის პირმა წამოაყენა მისი კანდიდატურა უფრო მაღალ თანამდებობაზე დასანიშნად.

<u>**მოცემულ სიტუაციაში მ.გ.-ს დაწინაურება:**</u>

ა) შესაძლებელია, ვინაიდან უფლებამოსილ თანამდებობის პირს უფლება აქვს მოხელე უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშნოს, თუ დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში მოხელის მხრიდან ხელახლა არ ექნება ადგილი დისციპლინურ გადაცდომას და თავს გამოიჩენს სანიმუშო ქცევით.
ბ) არ არის შესაძლებელი, ვინაიდან დაუშვებელია მოხელის წახალისება და დაწინაურება, როდესაც დადებული აქვს ისეთი დისციპლინური სახდელი, როგორიცაა გაფრთხილება.
გ) არ არის შესაძლებელი, ვინაიდან მოხელე დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში არ შეიძლება სამსახურებრივად დაწინაურდეს.
დ) შესაძლებელია, მოხელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

დავალება N29

საჯარო სამსახურის ხელმძღვანელმა სამსახურში მიღებაზე უარი განუცხადა კონკურსის სახით შერჩეულ დ. თ.-ს. უარის მიზეზი, მისი განმარტებით, იყო ის, რომ კონკურსანტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

<u>**დ. თ-ს სამსახურში მიღების თაობაზე ხელმძღვანელის უარი:**</u>

ა) მართებულია, რადგან ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' კანონის შესაბამისად, სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარუდგენლობა შეიძლება გახდეს პირის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.
ბ) არ არის მართებული, ვინაიდან დ. თ კონკურსის წესით იყო შერჩეული.
გ) მართებულია, ვინაიდან საჯარო სამსახურის ხელმძღვანელი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ უარი განუცხადოს პირს სამსახურში მიღებაზე.
დ) არ არის მართებული, ვინაიდან, სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის მოთხოვნას ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' კანონი არ ითვალისწინებს.

დავალება N30

საჯარო სამსახურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შექმნილ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს:

ა) შესაბამისი საჯარო სამსახურის უფროსი საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით.
ბ) საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი შესაბამისი საჯარო სამსახურის უფროსის წარდგინებით.
გ) საჯარო სამსახურის ზემდგომი ორგანო შესაბამისი საჯარო სამსახურის უფროსის წარდგინებით.
დ) შესაბამისი საჯარო სამსახურის უფროსი, ზემდგომი ორგანოს თანხმობით.

დავალება N31

საჯარო სამსახურის თანამშრომელს თ. ს.-ს სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისთვის ხელმძღვანელმა დაუწესა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შენიშვნა და ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება.

<u>ხელმძღვანელის ქმედება:</u>

ა) მართებულია, ვინაიდან სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისთვის ხელმძღვანელს უნდა გამოეყენებინა თანამშრომლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ორი ან მეტი ზომა.
ბ) არ არის მართებული, ვინაიდან ხელმძღვანელს არა აქვს უფლება სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისთვის თანამშრომელს დაუწესოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება.
გ) არ არის მართებული, ვინაიდან ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
დ) მართებულია, ვინაიდან ხელმძღვანელს კანონმდებლობით უფლება აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განუსაზღვროს თანამშრომელს შენიშვნა და ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება ერთდროულად.

დავალება N32

საჯარო სამსახურში პირი დაინიშნა უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. სამსახურმა დაუყოვნებლივ უზრუნველყო მისთვის შინაგანაწესის გაცნობა ხელწერილის დადების გარეშე.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია მართებული:</u>

ა) სამსახური არ არის ვალდებული გააცნოს უმცროს სპეციალისტს დაწესებულების შინაგანაწესი.
ბ) სამსახურს ევალება უზრუნველყოს შინაგანაწესის გაცნობა მოსამსახურის სამსახურში დანიშვნიდან 1 თვის ვადაში.
გ) სამსახური არ არის ვალდებული შინაგანაწესის გაცნობისას ჩამოართვას პირს ხელწერილი.
დ) სამსახური ვალდებულია მოსამსახურეს გააცნოს შინაგანაწესი ხელწერილის დადებით სამსახურში მიღებისთანავე.

დავალება N33

საჯარო სამსახურის ხელმძღვანელმა თანამშრომელს სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის წახალისების ფორმად დაუწესა თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება და ამავდროულად დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრით.

<u>საჯარო სამსახურის ხელმძღვანელის ქმედება:</u>

ა) არ არის მართებული, ვინაიდან ხელმძღვანელს უფლება აქვს გამოიყენოს მხოლოდ ერთი წახალისების ფორმა თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის.
ბ) მართებული, ვინაიდან ხელმძღვანელს უფლება აქვს გამოიყენოს ერთდროულად რამდენიმე წახალისების ფორმა თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის.
გ) არ არის მართებული, ვინაიდან წახალისების ფორმად არ შეიძლება ერთდროულად დაწესდეს თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება და დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით.
დ) მართებულია, ვინაიდან ხელმძღვანელს უფლება აქვს გამოიყენოს ერთდროულად მხოლოდ ორი წახალისების ფორმა თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის.

დავალება N34

სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნას:

ა) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
ბ) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 18 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
გ) საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს.
დ) საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

დავალება N35

დაწესებულების ხელმძღვანელმა პირმა კონკურსის წესით შესავსებ თანამდებობაზე 3 თვის ვადით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა მოხელე.

დაწესებულების ხელმძღვანელის ქმედება:

ა) არ არის კანონიერი, ვინაიდან კონკურსის წესით შესავსებ თანამდებობაზე დაუშვებელია მოხელის დანიშვნა მოვალეობის შემსრულებლად.
ბ) კანონიერია, ვინაიდან დროებით მოვალეობის შემსრულებელი შეიძლება დაინიშნოს კონკურსის წესით შესავსებ თანამდებობაზე არაუმეტეს 3 თვის ვადით.
გ) არ არის კანონიერი, ვინაიდან კონკურსის წესით შესავსებ თანამდებობაზე დაუშვებელია მოხელის დანიშვნა მოვალეობის შემსრულებლად ერთ თვეზე მეტი ვადით.
დ) კანონიერია, ვინაიდან დროებით მოვალეობის შემსრულებელი შეიძლება დაინიშნოს კონკურსის წესით შესავსებ თანამდებობაზე არაუმეტეს 6 თვის ვადით.

დავალება N36

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს:

ა) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ზემდგომი ორგანო.
ბ) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით საჯარო სამსახურის ბიურო.
გ) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.
დ) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით.

დავალება N37

კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მოხელეს შეუძლია იმავე დაწესებულებაში შეასრულოს არმყოფი მოხელის მოვალეობა არა უმეტეს:

ა) 1 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში.
ბ) 3 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში.
გ) 6 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში.
დ) 9 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში.

დავალება N38

საჯარო სამსახურის ხელმძღვანელმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოხელე გაათავისუფლა სამსახურიდან. ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით განთავისუფლებულ მოხელეზე გაიცა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

<u>**აღნიშნულ შემთხვევაში საჯარო სამსახურის ხელმძღვანელის ქმედება:**</u>

ა) არ არის კანონიერი, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოხელის განთავისუფლების შემთხევაში მასზე არ გაიცემა კომპენსაცია.
ბ) კანონიერია, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოხელის განთავისუფლების შემთხევაში მას ეძლევა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
გ) არ არის კანონიერი, ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოხელის განთავისუფლების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
დ) კანონიერია, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოხელის განთავისუფლების შემთხვევაში სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია მასზე გასცეს კომპენსაცია 1-დან 3 თვემდე თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

დავალება N39

მოხელემ თვითნებურად მიატოვა სამსახური 7 დღის ვადით.

მოხელე სამსახურიდან განთავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებურად დატოვების:

ა) მეორე სამუშაო დღიდან.
ბ) მესამე სამუშაო დღიდან.
გ) მეხუთე სამუშაო დღიდან.
დ) შესაბამისი დოკუმენტის გაცნობის დღიდან.

დავალება N40

მოსამსახურეს მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში ანაზღაურებადი შვებულება ეძლევა:

ა) 160 კალენდარული დღის ოდენობით.
ბ) 140 კალენდარული დღის ოდენობით.
გ) 150 კალენდარული დღის ოდენობით.
დ) 170 კალენდარული დღის ოდენობით.

დავალება N41

შემსყიდველმა ორგანიზაციამ მივლინებაში გაუშვა თავისი თანამშრომლები ქ. ბათუმში. თანამშრომლებისთვის სასტუმროს შერჩევის მიზნით, მან გამოაცხადა ტენდერი და შეისყიდა სასტუმროს მომსახურება, ვინაიდან თვლიდა, რომ მომსახურების შესყიდვისთვის მას ევალებოდა ტენდერის ჩატარება.

<u>ვალდებული იყო თუ არა შემსყიდველი ორგანიზაცია თანამშრომლების მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე გამოეცხადებინა ტენდერი?</u>

ა) ვალდებული იყო, ვინაიდან ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული კანონი ვრცელდება ყველა სახის შესყიდვაზე.
ბ) ვალდებული იყო, ვინაიდან ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასტუმროს შესყიდვაზე შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა გამოეცხადებინა ტენდერი.
გ) არ იყო ვალდებული, ვინაიდან ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე.
დ) არ იყო ვალდებული, ვინაიდან ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასტუმროს მომსახურების შესყიდვაზე.

დავალება N42

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტედენტმა გაასაჩივრა შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედება სასამართლოში, ვინაიდან მას მიაჩნდა, რომ მისი უფლებები შეილახა. აღნიშნულთან დაკავშირებით მან მოითხოვა შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების და სავარაუდო მოგების სრულად ანაზღაურება.

სასამართლომ განიხილა წარდგენილი სარჩელი და განხილვის შედეგად დაადგინა, რომ სავარაუდო მოგება შეადგენდა 1500 ლარს და სარჩელი სრულად დააკმაყოფილა.

<u>კანონიერია თუ არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?</u>

ა) არა ვინაიდან, მომჩივანს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
ბ) არა ვინაიდან, მომჩივანს უნდა აუნაზღაურდეს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები და სავარაუდო მოგება, თუ ის აღემატება 2000 ლარს.
გ) დიახ ვინაიდან, მომჩივანს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უნდა აუნაზღაურდეს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები და სავარაუდო მოგება.
დ) დიახ ვინაიდან, მოსამართლის შეფასებით მომჩივანს შეიძლება აუნაზღაურდეს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები და სავარაუდო მოგება.

დავალება N43

დასაქმებული მონაწილეობას იღებდა 30 დღიან გაფიცვაში. შრომითი საქმიანობის განახლების შემდეგ დამსაქმებელმა უარი განუცხადა გაფიცვის დროის შრომის ანაზღაურებაზე.

დამსაქმებლის ქმედება:

ა) არ არის მართებული, ვინაიდან დასაქმებულს შრომის ანაზღაურება ეკუთვნის ნებისმიერ შემთხვევაში.
ბ) მართებულია, ვინაიდან დამსაქმებელი მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გასცემს გაფიცვის დროის შრომის ანაზღაურებას.
გ) მართებული, ვინაიდან გაფიცვის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება.
დ) არ არის მართებული, ვინაიდან დამსაქმებელს უფლება არა აქვს დასაქმებულს არ აუნაზღაუროს გაფიცვის დროის ხელფასი.

დავალება N44

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის დირექტორის წარდგინებით კანცელარიის განყოფილების თანამშრომელს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეუფარდა შენიშვნა.

<u>ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილის ქმედება?</u>

ა) მართებულია, ვინაიდან ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილეს უფლება აქვს კანცელარიის თანამშრომელს დისციპლინური გადაცდომისთვის შეუფარდოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
ბ) არ არის მართებული, ვინაიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს თანამშრომლებს შეუფარდებს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი.
გ) მართებულია, ვინაიდან ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე უფლებამოსილია მხოლოდ ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის დირექტორის წარდგინებით კანცელარიის თანამშრომელს შეუფარდოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
დ) არ არის მართებული, ვინაიდან დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით კანცელარიის თანამშრომელს არ შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

დავალება N45

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, საბიბლიოთეკო საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს:

ა) გენერალური დირექტორის მოადგილე.
ბ) დეპარტამენტების დირექტორები.
გ) დეპარტამენტების დირექტორების მოადგილეები.
დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

დავალება N46

სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს საქმიანობის წესი და ფუნქციები განისაზღვრება:

ა) ,,ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად.
ბ) ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულებით.
გ) გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად.
დ) საბჭოს დებულებით.

დავალება N47

წინამდებარე სქემაში აღნიშნულია ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტები, ხოლო ქვემოთ მითითებულია ფუნქციები.

ჩამოთვლილთაგან რომელი დეპარტამენტის ფუნქცია არის სწორად მოცემული?

ა) ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის.
ბ) მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის.
გ) საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის.
დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

დავალება N48

ეროვნული ბიბლიოთეკის საორგანიზაციო საკითხების განხილვასთან დაკავშირებით შეიკრიბა საბიბლიოთეკო საბჭო, სადაც გენერალური დირექტორის ინიციატივით მოწვეულ იქნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

<u>აღწერილი სიტუაციის შესაბამისად, ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა არის მართებული?</u>

ა) საბიბლიოთეკო საბჭო უფლებამოსილი იყო განეხილა ეროვნული ბიბლიოთეკის საორგანიზაციო საკითხები, ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი არ იყო უფლებამოსილი სხდომაზე მოეწვია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
ბ) საბიბლიოთეკო საბჭო უფლებამოსილია განიხილოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც დგას ეროვნული ბიბლიოთეკის წინაშე, ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი უფლებამოსილი იყო თავისი შეხედულებისამებრ სხდომაზე მოეწვია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
გ) ეროვნული ბიბლიოთეკის საორგანიზაციო საკითხების განხილვა წარმოადგენს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს კომპეტენციას, შესაბამისად, საბიბლიოთეკო საბჭო არ იყო უფლებამოსილი განეხილა ზემოაღნიშნული საკითხები.
დ) საბიბლიოთეკო საბჭოს ჰქონდა უფლება განეხილა ეროვნული ბიბლიოთეკის საორგანიზაციო საკითხები, ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი უფლებამოსილი იყო სხდომაზე მოეწვია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

დავალება N49

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი იმყოფებოდა მივლინებაში, ხოლო მის მოვალეობას დროებით ასრულებდა ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი.

<u>საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად:</u>

ა) გენერალური დირექტორის მოვალეობას მისი არყოფნისას ასრულებს გენერალური დირექტორის მოადგილე.
ბ) მხოლოდ ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსს შეუძლია შეასრულოს გენერალური დირექტორის მოვალეობა.
გ) გენერალური დირექტორის მოვალეობას მისი არყოფნისას ასრულებს გენერალური დირექტორის სამდივნოს განყოფილების უფროსი.
დ) გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შეიძლება იყოს ეროვნული ბიბლიოთეკის ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

დავალება N50

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა ბიბლიოგრაფიული სტატისტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკის აღნიშნული ქმედება:

ა) მართებულია, ვინაიდან ეროვნული ბიბლიოთეკა უფლებმოსილია აწარმოოს ნებისმიერი სახის სტატისტიკა და შესაბამისად გამოსცეს ის.
ბ) არ არის მართებული, ვინაიდან ეროვნულ ბიბლიოთეკა არ არის უფლებამოსილი გამოსცეს ბიბლიოგრაფიული სტატისტიკა.
გ) მართებულია, ვინაიდან ეროვნული ბიბლიოთეკა უფლებამოსილია გამოსცეს ბიბლიოგრაფიული სტატისტიკა.
დ) არ არის მართებული, ვინაიდან ეროვნული ბიბლიოთეკა უფლებამოსილია გამოსცეს მხოლოდ საბიბლიოთეკო სტატისტიკა.